სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
...ლის-მომწერნი გაზეთის დასაკვე... ...დ მიჰმართავენ რედაქციას დილის ...-8 საათამდე და საღამოს 6—7 „წ.-კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
...ელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
...რის-პირ მოლაპარაკება რედაქ...ტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363


## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 26 ნოემბერს

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან ეფემია მესხის მონაწილეობით

ბენეფისი კ. ს. მესხისა

წარმოდგენილი იქნება

### კონტრ-აზნაური

5 მოქ. კომედია, თარგ. ვ. აბაშიძისა

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| დონ-სეზარ დე-ბაზან, აზნაური | ბ. მესხი |
| მარიტანა, მომღერალი ქალი | ქ. ეფ. მესხისა |
| მთავარი არკოსისა | ბ. სვიმონიძე |
| სანტარენ, მინისტრი | ბ. კანდელაკი |
| მონტეფიორე, საქათმოთა დირექტორი | ბ. გედევანოვი |
| მარკიზა, ამისი ცოლი | ქ. ჩერქეზიშვილისა |
| ენრიკეზ, კაპიტანი | ბ. კავთელი |
| ლაზარილიო, პატარა ბიჭი | ქ. გარელი |
| პიპო, მსახური | ბ. ხოსროევი |

მხედარნი, ხალხი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი ზუსტად 8 საათზე

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი

---

მგზავრთა საყურადღებოდ

პატივი გვაქვს ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 7 ნოემბრიდან ბათომის სასტუმრო

„ლონდონი"

ჩვენს ხელში გადმოვიდა. ეს ფირმა ბათომში ძველის ძველია და ჯეროვნად აქვს დამსახურებული საზოგადოების ყურადღება. ჩვენც განსაკუთრებით ვეცდებით საზოგადოების გული მოვიგოთ. აქამდე თუ რამ ნაკლი ჰქონდა ამ სასტუმროს, იმედი გვაქვს, მომავალში თავიდან ავაშოროთ.

პატივისცემით დავშთები სასტუმროს პატრონი

ბათომი. ალექსანდრე თოიძე

---

...ვირას, 29 ნოემბრისთვეს, საღამოს 6 საათზე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

### საგანგებო კრება

ქართველთა სააღებ-მიმცემო ამხანაგობის

### „მუშაკისა"

...რება უსათუოდ შესდგება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დაესწრება მას წილის პატრონი.

კრებამ უნდა აღმოირჩიოს: 1) თავმჯდომარე კანტროლისა თან...ად წარსული წლიური კრების დადგენილებისა და 2) ფირმის წარმო...დგენელი, რომელიც თავს ანებებს 1899 წლიდან.

გარდა ამისა კრებას წარედგინება განსახილველად ზოგიერთი შინაური საქმეებიც.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (6—3)

---

## იყიდება ქ. გორში ორი მამული

1) კათოლიკეთა ქუჩაზე—ერთ-სართულიანი სახლი, რომელიც შესდგება 4 ოთახისაგან თავის სარდაფით, სამზარეულოთი და სხვა მოწყობილობით. მიწის ზომა 60 ოთხ-კუთხი საჟენი.

2) დახურულ ბაზარში—ოთხი თვალი დუქანი. მიწის ზომა 30 ოთხ-კ. საჟ.

პირობების შეტყობა შეიძლება ქ. ქუთაისში, ვორონცოვის ქ., ედუარდ ზაქარიას ძე საავაშვილთან (პირადათ და წერილითაც). (3—2)

---

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

### იმერული სცენები

შეკრებილი კ. მესხის მიერ

ფასი 5 კაპ.

ვინც „ცნობის ფურცლის" რედაქციდან გამოიწერს ერთბაშად 25 ცალს, იმას ერთ მანათად დაეთმობა. (12—2)

---

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

### ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

### БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

---

სამკურნალო და ამბულატორია

### ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის. სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

Лѣчебница В. С. Топуріа въ Кутаисѣ.


## ახალი ამბავი

* * * ქართული საბენეფისო წარმოდგენა. დღეს, 26 ნოემბერს, ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება ჩვენი ნიჭიერი არტისტის კ. მესხის საბენეფისოდ 5 მოქმედებიანი კომედია „კონტრ-აზნაური". თქმა არ უნდა, ქართველი საზოგადოება შესაფერი პატივის-ცემით და თანაგრძნობით მოეკიდება თავისი დამსახურებული მსახიობის ბენეფისს.

* * * საუბარი ქართულს ენაზე ქაშვეთის ეკკლესიაში. კვირას, 22 ნოემბერს, ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში მწუხრის და დაუჯდომელის შემდეგ ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელმა ვ. ილ. ფერაძემ წაიკითხა ქართულ ენაზე საუბარი „ბავშვების ქრისტიანობრივ აღზრდის შესახებ". დაუჯდომელი ღვთის მშობლისა გადახდილ იქმნა თვით გორის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მიერ, რომელიც ამის შემდეგ დაესწრება ყოველ საუბარს ქაშვეთის ეკკლესიაში კვირა საღამოობით. ტაძარში მწუხრზე და დაუჯდომელზე მწყობრად გალობდა სემინარიის მოწაფეთა ქართულ მგალობელთა გუნდი, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის ჰერმოგენის განკარგულებისამებრ. ტაძარში ბევრი ხალხი დაესწრო. სჩანს, რომ ქართველი საზოგადოება საეკკლესიო საქმეებს და ღვთის მსახურებას მშობლიურ ენაზე თანაუგრძნობს. კვირას, 29 ნოემბერს, წარმოთქმულ იქნება საეკკლესიო საუბარი ქართულ...

ენაზე. ქაშვეთის ტაძრის წინამძღვრის მღვდლის მარკოზ ტყემალაძის მიერ. ბ. ილ. ფერაძის მიერ წარმოთქმულს საუბარს, თანახმად საზოგადოების სურვილისა, ვბეჭდავთ ჩვენს გამოცემაში ნაწილ-ნაწილად. შემდეგში ეს საუბარი ცალკე წიგნაკად გამოცემულ იქნება.

*** ქალაქის ქუჩების დათვალიერება. კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციის განკარგულებით, ტფილისში არსდება ინჟინერთა საგანგებო კომისია ქალაქის ქუჩების დასათვალიერებლად.

*** რკინის გზის საავადმყოფო. ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველომ ტფილისში, ვოკზალის მახლობლად აშენებს რკინის გზისათვის დიდ საავადმყოფოს 200 საწოლით, რისთვისაც გზათა სამინისტროს მიერ გადადებულია 200.000 მან. მუშაობის დამთავრების შემდეგ დროებითი ხის საავადმყოფო აიღება. წელს დამთავრდება საავადმყოფოს ამბულატორიის აგება, რომლის კურთხევა და გახსნა განზრახულია 6 დეკემბრისათვის.

*** ქალაქის გამგეობის საქმე. ამ ჟამად ქალაქის გამგეობაში დარჩენილია ერთად-ერთი წევრი და საბჭო კი აგვიანებს ახალი წევრების ამორჩევას, რის გამოც მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში იმყოფებიან.

*** მეთამბაქოობის საქმე კავკასიაში. იმ კომისიას, რომელსაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მიანდო კავკასიაში მეთამბაქოობის გასაუმჯობესებელ ზომების გამორკვევა, საჭიროდ დაუნახავს დაარსებულ იქნეს თამბაქოს საწყობები, გაუხსნან მეთამბაქოეთ სამეურნეო კრედიტი და გაერთდნენ მეთამბაქოენი.

*** ნავთის საქმე. მიწად-მოქმედების სამინისტროში კომისია შესდგა, სამთო რჩევის წევრის დ. ს. ს. დევის თავმჯდომარეობით, იმ კითხვის გამოსარკვევად, მიეცეთ თუ არა უცხო ტომის ხალხთ კავკასიაში ნავთით ვაჭრობის ნება.

*** ფარმაცევტთა საზოგადოების განკარგულება. რადგან ტფილისის მეაფთიაქეთა უმეტესობამ უარი განაცხადა იმაზე, რომ აფთიაქში მოსამსახურეთ სამ დღეში ერთხელ თავისუფალი დღე მისცემოდათ დასასვენებლად, ამის გამო ფარმაცევტთა საზოგადოებამ პროექტი შეადგინა და სთხოვა ადგილობრივ ადმინისტრაციას იშუამდგომლოს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ კანონიერად დაენიშნოთ აფთიაქში მოსამსახურე პირთ დასასვენებელი დრო.

*** თხოვნა შემწეობის აღმოჩენის შესახებ. ტფილისის კლასიკურ გიმნაზიის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელმა საზოგადოებამ სთხოვა ტფილისის ქალაქის მოურავს, იშუამდგომლეთ ქალაქის საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ ღარიბ მოწაფეთ შემწეობა აღმოუჩინოს.

*** მხეცური საქციელი. 23 ნოემბერს, ტფილისის გარეთ, გოლდლისტის ჭრაქის ქარხნის გვერდზე ბოროტ-განძრახველთ საშინელი მხეცური საქციელი ჩაიდინეს. ქარხნის მახლობლად მოდიოდა ეტლით ექიმი ფ. ი. მსახურით და ორი თავისი ქალით, ერთი 14 წ. და მეორე 15 წ. ამ დროს გადუდგა ხუთი კაცი, შეაჩერეს ეტლი, ორმა მათგანმა წაუჭირეს ყელში ექიმს და ფულის თხოვნა დაუწყეს, ექიმმა ქისა გადასცა მათ, რომელშიაც ოთხი თუმანი იყო. შემდეგ ერთი ქალთაგანი მინდვრისკენ გაიტაცეს ექიმმა პირველი ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა ყველაფერი. პოლიციამ განკარგულება მოახდინა და აღმოჩნდა, რომ ყველა ეს ბოროტ-განძრახველნი სტამბის პატრონის ლიბერმანის ასოთ--ამწყობნი ყოფილან. დამნაშავე პირნი პოლიციამ უკვე დაატუსაღა.

*** **სოხუმი.** მოსამართლის გარდაცვალება. ამაზე წინად აქ გარდაიცვალა აქაური მომრიგებელი მოსამართლე ფეოდ. ნიკ. უსტიანოვიჩი. განსვენებული ცნობილი იყო როგორც დაუზარელი და პირუთვნელი აღმასრულებელი თავისის თანამდებობისა, ამასთან, როგორც ყოვლად პატიოსანი და დაჩაგრულის ქომაგი ადამიანი. ამით აიხსნება ისა, რომ აქაურნი მცხოვრებნი, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა, ყველანი მისტირიან ამ კეთილ-შობილს ადამიანს. განსვენებული სანამ სოხუმში გადმოვიდოდა, რამდენსამე წელიწადს ზუგდიდის მაზრაში მსახურებდა და იქაც სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ყველასი.

— დარაბათოვის შეგროვილი ფული. განსვენებული უსტიანოვიჩი სხვათა შორის, თავისის ხარჯით ზრდიდა ერთს ობოლს მეგრელს ფოთის საზღვაოსნო სკოლაში. რაკი უსტიანოვიჩი მოკვდა, ხსენებული შაგირდი, რომელსაც ერთი წელიწადი უკლია სწავლის დამთავრებამდე, უსასრულოდ დარჩა. განსვენებულის ხსოვნის პატივისმცემელთ განიზრახეს ამ შაგირდისათვის პატრონობა გაეწიათ. ამ [illegible] აქაურ ქალაქის ექიმის მეუღლემ ქ-ნმა ო. დიმიტრიევისამ და სოფ. ბერჰოლცის ასულმა ხელის-მოწერა გამართეს და იმათის თავ-გამოდებულის მეცადინეობით მოკლე ხანში 700 მან. შეგროვდა. ამ ფულიდან 300 მანეთი გადაეცა უსტიანოვიჩის მიერ აღსაზრდელად აყვანილს შაგირდს. დანარჩენი 400 მანეთი განზრახვა აქვსთ აქაურს ღარიბებს დაურიგონ, ან და კასაში შეიტანონ და იმის პროცენტები ღარიბებსვე დაურიგონ ხოლმე დღესასწაულებში. დიდის მადლობის ღირსნი არიან ხსენებულნი ქალბატონნი ასეთის კეთილის საქმისათვის. მათის მეცადინეობის წყალობით, იმედია, არა ერთსა და ორს გაჭირვებულს ქვრივ-ოხერს, ობოლს და უპატრონოს მოეწმინდება ცრემლი თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც. იმედია, ადგილობრივი საზოგადოება ამ თანხას გაზრდის, რომ მისი სარგებელი უფრო ბევრს გაჭირვებულს გასწვდეს და დაედოს მალამოდ.

— მახ. თოფურიძის გაძარცვის გამო. „ცნობის ფურცელში", სადაც თავ. გ. შარვაშიძის მოურავის ბ-ნის მიხ. თოფურიძის გაძარცვის შესახებ წერილი გვქონდა, შეცდომით მოვიხსენიეთ, რომ გაძარცვის დროს ბ-ნს თოფურიძეს კასაში 10,000 მანეთი ჰქონდათ, როგორც ნამდვილად [illegible] ბ. თოფურიძეს იმ ჟამად კასაში არაფერი ჰქონია და ჩვეულებაც არა აქვს თურმე ფული, და განსაკუთრებით თუ ათასობით აქვს, კასაში შეინახოს. როგორც შემოუვა ერთად, მაშინვე ტფილისში ჰგზავნის თურმე.

ჭრილობა ბ-ნს თოფურიძეს, საცაა, სულ მოურჩება და ზეზე წამოდგება კიდეცა. მისი გამძარცველები დღესაც ვერ უპოვნიათ.

გ. ბარკალაია

*** დ. **სურამი.** უგზო-უკვლობა. დავუთმობ „ბედკრულ სანდროს" სურამის ქუჩების ყვნოსას, ნამეტნავად ურიების და სომხების უბნის ქუჩებისას და მათ აღწერას, რადგანაც იგი შემოგვეცილა „სურამის რამე-რუმის" წერაში. ჩვენ კი გადავავლებთ თვალს მთლად სურამის საზოქალოს. პირველშივე თქვენ თუ მოგზაურობა მოისურვეთ, სურამის საზოქალოს უგზო-უკვლობა მიგაქცევინებთ ყურადღებას. იშვიათად იპოვით აქაურ ისეთ მემამულეს, რომ ეტლი არ ჰქონდეს, რომლითაც, რასაკვირველია, ხშირად მოგზაურობს. მაგრამ უნდა ჰნახოთ ამ ეტლის საცოდაობა მოგზაურობის დროს, რომ სრული წარმოდგენა იქონიოთ. ეტლს კიდევ ჯანი და სული წაუვიდეს, შიგ მჯდომნი არიან შესაბრალისნი. არ ვიცით სხვები რას ჰგრძნობენ და ამ სტრიქონების დამწერს თავი და ზედი აწყევლინა ეტლში გამოჭიმვამ. აკი ღმერთი გამიწყრა და ეტლში ჩავბრძანდი და რაც მე შიში და ტანჯვა გამოვცადე, ის მტერსაც აშოროს. განა მარტო მე?.. ჩემ თანამგზავრთაც. ჯერ ერთი: ლაპარაკს ვერ ვბედავდით, თუმცა გვინდოდა გველაპარაკნა, რადგანაც გვეშინოდა, კბილი-კბილს არ მოგვეშორებინა, რომ შემთხვევით ენა კბილსა კბილ შუა არ მოჰყოლოდა და არ მოგვეკვნიტა. ამის გამო ყბების კუნთებს ძალა დაადგათ და, როდესაც შინ მშვიდობით მოვედით და პურის ჭამა დავიწყეთ, ყბების კუნთები აღარ გვემორჩილებოდნენ. მეორეც: „სული კბილით უჭირავსო" რომ იტყვიან, სწორედ ეს დაგვემართა. კბილებს ხელსაც კი ვაშველებდით, ყოველ წამს ეტლის გადაბრუნებას მოველოდით. ეტლის გადაბრუნების შემდეგ კი თქვენც წარმოიდგენთ და ამისთვის საჭირო აღარა ვსთვლი იმის აღწერას. ეს სიმშრალის დროს, როდესაც გზას მტვერიც კი ასდის. ახლა თქვენ უნდა ჰნახოთ ტალახების დროს!.. ვისი ტანჯვა აგიწეროთ: მეეტლისა, ცხენებისა თუ შიგ მჯდომისა?!.. არ ვიცი, თქვენ რომლის ტანჯვის აღწერას მოისურვებდით და ჩვენ-კი ჩვენის მხრივ ვიტყვით, სამთავე ტანჯვა საინტერესოა. ერთის წინადადებით მოგახსენებთ, რომ კითხვით არ შეგაწყინოთ თავი: ცხენები მეეტლეს და მებატონეს ემდურებიან მეეტლე ცხენებს და მებატონეს მებატონე კიდევ მეეტლეს და ცხენებს. ჩვენ კი ვკიცხავთ მებატონეთ. დალოცვილებს გაუგონიათ, ეტლით მოგზაურობა კარგიაო და ის კი აღარ იციან, რომ იალოუზის მთის წვერზე ეს ეტლი ეტლობას არ გაუწევს. ჯერ გზები უნდა გააკეთონ და შემდეგ ეტლებისათვის იზრუნონ. კარგ გზაზე, ურმით მოგზაურობაც სასიამოვნოა. მერე ვერ წარმოიდგენთ, რა ადვილია აქეთ გზების გაკეთება?! საკმარისია მებატონეთ მოისურვონ, თორემ სურვილის გამოთქმის მეტი არა უნდა-რა. „მონანი" მათნი შესძლებენ ამის გაკეთებას. მაგრამ გზები ხომ „მონათა" სასარგებლოც იქნება, და ეს კი მებატონეთ პრინციპის წინააღმდეგია, ისინი იმას აკეთებინებენ, რაც მხოლოდ მათი სასარგებლოა და არა „მონათიც"...

ორიშინი

*** **დუშეთი** კლუბი და მისი ჭირისუფალნი. „წამხდარსა საქმეს ვერ არგებს ბოლოსღა თითზედ კბენანი"—ეს მწარე ჭეშმარიტება ითქმის ჩვენი კლუბის და აღარ კლუ

ზის მამინაცვლებზედ: აი თითქმის ხუთი თვეა, რაც კლუბი დაკეტი- ...ია,—სამარის კარზედ მიგდებუ- ...—და ვის წყალობითაც ...გი ...ოსა ლევს და წუთი სოფელს ესა- ..., თითონ ისინიც ბევრს ნა- ... და ცდილობენ როგორმე ჩაუდგან მოაბრუნონ, მაგრამ ...აა: მოგეხსენებათ, ძნელი გა- ...ელ-გატეხილის გამთელება. ...ხ უფრო ძნელია, როცა ცხვ- ...ის საქმე სამგლეთ გახდება —ჩვენ კლუბსაც სწორეთ ეგ დაემართა, ზოგიერთ არა წკითხეს და მეტიჩა- რა წევრების შუღლმა და ენა-ჭარტლიანობამ შემოფანტა და შემოაძწყრალია ზოგი მრავალი რიგიანი წევრები და იმათი საქციელი დაემსგავსა იმ ცხიველს რომელიც არც თითონა სჭამს და არც სხვას აჭმევს,

აი მოკლეთ ჩვენი კლუბის დავარდნის და დაკეტის მიზეზი ჭამა-სმა უყვარდათ გასწორება კიარა... ცეკვათამაში—ლხინი უნდათ, საწევრო ფულის გარდახდა კი-არა საბილიარდო და სალოტო ფული ხომ ჯანჯლობით გროვდებოდა... ამაობაში, ვალი ემატებოდა და კლუ...ს გულის შემატკივრებმა მოინდომეს:—ძმამ ძმას ანგარიში უყოსო, ისევ ძმები იყვნენო, ვისაც ნიჭი ჰქონდათ ეს წინადადება არ ეჭაშნიკად და შეჰქნეს ალიაქოთი. ნათქვამია—საცა არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამა კაცისაო,—ვინც თავი და თავები იყვნენ ეგრე ჰქმნეს და დარჩნენ კუდი და ფეხები.

ეს „ამშენებლები“ კლუბისა დიდ ფაცი-ფუცში არიან, ევების გამოჯავრებით მაინც გაამთელონ გატეხილიო, მაგრამ ამაზედ „სპექტაკლი“ გამართეს კლუბის სასარგებლოთ და... რა გგონიათ?—როგორც ისმის ზარალის მეტი არა მიუღია რა:

დიახ, ვგონებ ადვილი მისახვედრია—ჩვენი კლუბის დაკეტის მიზეზი რაც არის: რასაკვირველია, ბავშვს რო ხელში სამართებელს მისცემენ, ან თითონ დაიჭრის ხელებს და ან სხვას დასჭრის.

მადლობა ღმერთს, რო დუშეთს ...უ ერთი თვალის გასართობი რამ ...აკლდება, მეორე სულ-გონების გასართობი რამ გვემატება: მალე ვაკურთხებთ ქალაქ დუშეთს საერთო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს, დაარსებულს ალექსანდრე როინაშვილის მიერ და ყველაფერს დაწვრილებით გიამბობთ·

იახშიოლ

*** **ს. ქვემო ნიქოზი.** სკოლის კურთხევა. 18 ნოემბერს ამ სოფელში აკურთხეს პირველ დაწყებითი სკოლა მისი დამაარსებლის ყოვლად სამღვდელო კირიონის თანადასწრებით, რომელმაც სკოლის შენობის შესაკეთებლად და ავეჯეულობის შესაძენად შესწირა სკოლას საჭირო ფული; დაჰპირდა ყოველ წლივ 50 მანეთის შეწირვას, სოფლებმა თავისი მხრით აღუთქვეს სკოლას ყოველწლივ ას-ასი მანეთი. ფულით შემწეობას დაჰპირდნენ მას აგრეთვე ადგილობრივი მემამულენი და სამღვდელო პირნი. სკოლაში მიღებულ იქმნა ჯერ-ჯერობით მხოლოლ 40 ბავშვი ორივე სქესისა, სკოლის მასწავლებლად დანიშნულ იკმნა მცხეთის წმ. ნინოს საქალებო სკოლაში კურს დამთავრებული ქ—ნი საძაგელაშვილის ასული, ხოლო სჯულის მასწავლებლად—ადგილობრივი მღვდელი მ. დ. კაპანაძე.

*** **ოჩამჩირე** გემს დაღუპვა. 20 ნოემბერს ბათომიდან გამოვიდა „რუსეთის“ ს,ზოგადოების გემი „პეტრე“ ოდესისაკენ გემზე იყო 300-მდე მგზავრი. ფოთში „პეტრემ“ ღამე გაათია, მიიღო ბარგი გაუდგა გზას. როცა ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზედ 21 ნოემბერს „პეტრე“ ოჩამჩირეს უახლოვდება, მის პირდაპირ გამოჩნდება რუსეთის ზღვაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების გემი „ეკატერინა“, „პეტრე„ მისცურავდა ნაპირის მახლობლად და მარცხენა მხარეზე წითელი ფარანი ჰქონდა. ასეთივე ფარანი და იმავე მხარეზე ჰქონდა „ეკატერინესაც“, ასე რომ ორსავე გემს დადგენილ წესის მიხედვით მარჯვენა მხარე უნდა დაეჭირა. „პეტრემ“ რა შენიშნა პირდაპირ მომავალი გემი, რომ ის ნაპირზე არ მიეგდო, პირი იბრუნია შუა ზღვისაკენ და წითელ ფარნის მაგივრად აანთო მწვანე ფარანი., შემდეგ, ალბად დაჯახების შიშით, ისევ წითელი ფარანი აანთო და უკან იბრუნა პირი. როგორც კი „ეკატერინას“ კაპიტანმა ეს მანევრი შეამჩნია და დაინახა, რომ შეჯახება აუცილებელი იყო, ასტეხა ხანგრძლივი სტვენა და უბრძანა უკან-უკან დაეწიათ გემი სრულის სისწრაფით, მაგრამ ამან ვერა უშველა რა საქმეს, „პეტრე“ სწრაფად და საშინლად დაეჯახა „ეკატერინას“ ცხვირზე. როცა „პეტრემ“ უკან-უკან წევა დაიწყო, „ეკატერინა“ სწრაფად ჩასძირა წყალში. ყველა, ვინც გემის ბანზე იმყოფებოდა, დაიღუპა. ოთხი მატროსი დაიღუპა, გაისრისა, ერთი ქალი მოკლულ იქმნა, ერთი ქალიშვილი დაიკარგა უგზო უკვლოდ. დაიღუპა აგრეთვე ვარშავის ერთი სავაჭრო ფირმის აგენტი აზ. მ. ჟუკოვსკი, რომელიც ოდესიდან ბათომში მიდიოდა. „პეტრე“-ზე დაიღუპა ორი მატროსი, რომლებიც გემის ცხვირზე იყვნენ! „პეტრეს“ კაპიტანმა განაცხადა, გემების დაჯახების დროს მეძინაო; გადარჩენილი მგზავრები ოჩამჩირეში გადმოსხეს, ხოლო „ეკატერინას“ კომანდა „პეტრეზე“ გადაიყვანეს, რომელიც ბათომში წავიდა. „პეტრე“-ს შესამჩნევად დაუზიანდა ცხვირი. გემის ბანზე შეჰყარეს მრავალი ბარგი, რომელიც დაღუპულ გემის ცხვირში იმყოფებოდა. „ეკატერინესთან“ დაიღუპა 50,000 ფუთამდე ბარგი. დაშავებული მგზავრები გაგზავნილ იქმნენ ბათომის ქალაქის საავადმყოფოში.

## სათქმელი ცოდნა.

### ბავშვების აღზრდა ოჯახში

«მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქვენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა» (ეფეს. 6, 4).

(საუბარი, წარმოთქმული ქაშვეთის ტაძარში 22 ნოემბერს 1898 წ.)

რა საუბარი უფრო შეჰფერის დღევანდელს დღესა? რას უფრო უნდა მიექცეს თქვენი კეთილ-მოწონებითი ყურადღება? რა გავიხადოთ საგნად ჩვენის აწინდელის საუბრისა? მე ვგონებ, რომ ფრიად შესაფერია, პირდაპირ შესაბამია დღევანდელის დღისა საუბარი შვილების აღზრდის შესახებ. ჯერ ერთი, რომ ეს საკითხი დიდად საყურადღებო საკითხია, ვინაიდგან აღზრდის სიავ-კარგეზე დამოკიდებულია ბავშვების მომავალი ბედი, მასზე პირდაპირ დამოკიდებულია თვით ბედი მთელის საზოგადოებისა, მთელის ერისა... მეორედ ამ საკითხის შესახებ საუბარი შეესაბამება დღევანდელს დღეს მით უმეტესად, რომ გუშინ მართლ-მადიდებლობითი ეკკლესია დღესასწაულობდა ღვთის-მშობლის ტაძრად მიყვანებასა. წმიდათა და მართალთა იოაკიმ და ანნამ, მშობლებმან წმ. მარიამ ქალწულისამ, თვისის სიბერის ერთად-ერთი დიდი ნუგეში, ლოცვით შეძენილი სულის დგმა თვისი, მხოლოდ შობილი ასული ხელ-აღებით გაიმეტეს, თითქმის გასწირეს, თვისს სახლ-კარს ჯერ კიდევ უსუსური სამის წლისა მოაშორეს და ტაძრად მიიყვანეს, ღმერთს შესწირეს ალთქმისამებრ, რათა მას სალმრთო ტაძარში მიეღო საუკეთესო საეკკლესიო განათლება, სარწმუნოება-ზნეობრივი სწავლა-აღზრდა და მით გამოსულიყო ახლო მომავალში სასარგებლო წევრი თვისის ერისა...

გუშინდელმა დღესასწაულმა ნათლად და ცხადად გვაჩვენა, თუ რა ხასიათის სწავლა-აღზრდა უნდა მივცეთ ჩვენს შვილებს, რას უფრო უნდა მიექცეს ყურადღება მათის აღზრდის საქმეში... ჩვენის საზოგადოების უმეტეს ნაწილში ისეთი აზრი ტრიალებს, რომ ვითომც მარტო სკოლამ უნდა აღზარდოს ბავშვი, მან მხოლოდ უნდა გაუსწოროს მას ხასიათი, ჩაუნერგოს ღვთის და მოყვსის სიყვარული, შეაყვაროს ბეჯითობა, შეაძულოს მცონარება, სიბოროტე და სხვ... მაგრამ რას იზამს იქ სკოლა, სადაც მას არ ჰშველის ოჯახი, ოჯახური, შინაური აღზრდა-წვრთნილება... ჩვენი შვილების გაუბედურების მიზეზი ჩვენ, მშობლებივე ვართ, ჩვენვე ვუთხრით მათ სამარეს, ჩვენვე ცოცხლადვე ვმარხავთ მათ, უკეთუ ოჯახში არ ვაქცევთ ყურადღებას მათს სარწმუნოება ზნეობრივს აღზრდასა... მარტო სკოლა არაა მოვალე აღზარდოს ბავშვი ადამიანურად, გააკეთილშობილოს მისი ბუნება,—ოჯახიც უნდა შველოდეს სკოლას ამ ფრიად სასარგებლო, მრავალ მნიშვნელოვანს საქმეში... ჩვენის საუბრის უმთავრესი საგანიც ეს არის.

აღზრდას ბავშვისას მარტო მისთვის წერა-კითხვის სწავლება-კი არ შეადგენს,—აღზრდამ უმთავრესად უნდა მიაქციოს ყურადღება მას, რათა ბავშვის ჭკუა გონებამ შეიგნოს, იცოდეს კეთილი, მისს გულს უყვარდეს სიკეთე, უყვარდეს ღმერთი და მოყვასი, და ამას გარდა—მისი ნება მუდამ უნდა მიისწრაფოდეს, მიილტოდეს სიკეთისაკენ,— როგორც ცხოვრების უმაღლეს მიზნის მიმართ... აღზრდამვე უნდა განამტკიცოს ბავშვის სხეული, ისე, რომ ის სულს არ სჭარბობდეს, არამედ სულის მორჩილი, მსახური იარაღი იყოს. ასეთს აღზრდას მოითხოვს ქრისტიანობა. ქრისტიანობრივს აღზრდას საგნად აქვს—აღზრდა მთელის ადამიანისა, მთელის მისის არსებისა, კერძოდ—აღზრდა ჭკუა-გონებისა, გულისა და ნებისა და ამასთანავე თვით სხეულისაც, რომელიც უკვდავ ღვთის მიერ მონაბერის, ცხოვრების მაცისკროვნებელ სულის ტაძარია!,. ამისათვის მხოლოდ ერთად ერთს ეკკლესიას შეუძლია აღზრდას ბავშვებისას მისცეს საკეთილო მიმართულება და კეთილ-შობილური ხასიათი; ეკკლესიის გარეშე სულის ცხოვნება შეუძლებელია, აგრეთვე მის გარეშე აღზრდაც არ შეიძლება ქეშმარიტი იყოს... წმ. ეკკლესია უმთავრესი და საზოგადო აღმზრდელი დედაა ყველა ქრისტიანებისა. ის გვშობს ჩვენ სულიერად და წმიდა ჰყოფს თვისთა საიდუმლოთა საშუალებით. მას აქვს ღვთის მიერ მოცემული სწავლა-მოძღვრება, რომელიც გვასწავლის და გვზრდის ჩვენ, მასვე აქვს თვისი სულის და გულის ამმამაღლებელი

ღვთის-მსახურება და წეს-რიგი. აღზრდა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს კეთილ-ნაყოფიერი და მრავალ-ნაყოფიერი, როდესაც ის ეკლესიის თანახმაა, როდესაც ის სწარმოებს ეკლესიის და მის საღმრთო მოძღვრების ხელმძღვანელობის ქვეშ.

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

## სამეცნიერო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი*)

ანანასი (ქართული, იმერული, გურული), ანანას (რუსული), ანანასა ხატივა (ლათინური). ეს მცენარეც აპელსინის გვარისაა, ასე, რომ, რაც აპელსინზედ იყო ნათქვამი, ისევე ითქმება ამ მცენარეზედაც.

ზეთის-ხილი (ქართული, იმერული, გურული, მეგრული), მასლინა (რუსული) ოლეა ევროპეა (ლათინური), ძითენი (სომხური). მცენარე ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ერჩევიან ერთი ერთმანერთს, ნაყოფით, ფოთლებით, დრო დამწიფებითი, აგრეთვე ეკლებით, მაგალითად გარეული ჯიშის ზეთის ხილის ტოტები და ყლორტები მთლად შემოსილია ეკლებში, მაგრამ ბაღურ ზეთის ხილს კი არა აქვს ეკლები. გვარობს ყველა ნიადაგზედ, ხოლო შავ ზღვის ნაპირებზედ: სამეგრელოში, ბათუმის ოლქში და ყირიმში, უყვარს თბილი ქვეყნები, ცივ ქვეყნებში ვერ გვარობს. როგორც ღერო, ისე მისი ტოტები, ყლორტები, ფოთლები თეთრი ფერისაა, ყვავის ყვითლად, მის ყვავილს აქვს მშვენიერი სუნი, მის მასალას, როგორც მაგარი მცენარე, მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება, მაგალითად მის მასალით ამზადებენ სათამბაქოებს (табакерки) დანის ტარებს, ყუთებს და სხვა მასალებს. ნაყოფი დამწიფებამდის მწვანე ფერისაა, ხოლო როცა დამწიფდება, მაშინ შავდება. მის დამარილებული ნაყოფი, შეადგენს მშვენიერ საჭმელს, რომელსაც ვაჭრობაში დიდი მოთხოვნილება. მის ნაყოფით ამზადებენ მშვენიერ ზეთს. მცენარე ცოცხლობს ხამას წლამდის. მრავლდება თესლით, პატარა ტოტებით და გადაწვენით, ხოლო თესლი დათესამდის რამდენიმე დღით უნდა დაალბოთ, მარილის სიმჟავეში (въ соляную кислоту) რომ კანი მალე დალპეს, და მალე ამოვიდეს ღივი.

*) იხ. „ცნ. ფურცლის" № 687.

ლიმონი (ქართული, იმერული, გურული, მეგრული), ლიმონ (რუსული) ციტრუს მედიკა (ლათინური), გიდრონ (სომხური), ეს მცენარეც ეკუთვნის აპელსინის ჯიშს, ამისათვის რაც იყო ნათქვამი აპელსინზედ და ანანასზედ, ამ მცენარეზედაც ის უნდა ითქვას.

ნუში, ქადაზაბადამა (ქართული, იმერული, გურული, მეგრული), მინდალ (რუსული), ამიგდალუს კომუნის (ლათინური), ნიშენი (სომხური) ბადამ (თათრული). ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ერჩევიან ერთმანერთს, ნაყოფის სიმსხოთი, სიმაგრეთი, დრო შემოსვლისა, გემოთი და აგებულობითი, გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზედ, ხოლო უყვარს ცხელი ქვეყნები, ცივ ქვეყნებში ვერ გვარობს და ნაყოფიც არ მოაქვს. ყვავის ვარდის ფრათ, მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. მის ნაყოფით ამზადებენ მშვენიერ ზეთს, რომელსაც ოჯახში აქვს დიდი მოთხოვნილება. აგრეთვე აკეთებენ გოზინაყს. ჩურჩხელებს და ხმარობენ ფლავში. მის რძეს ასმევენ ავადმყოფებს ღონის მოსამატებლად. მის მასალას მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება. მრავლდება: თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით, ხოლო ნამყენებით კი გაზაფხულობით და ზაფხულობით.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

### ყურმოკრული საუბარი

აკაკის ერთი გათხოვილი ნაცნობი ქალი შეხვდა, რომელსაც ერთს დროს ეარშიყებოდა. ქალს ხელში თავისი ძუძუთა ბავშვი ეჭირა.

აკაკი, ჩვეულებრივ, მიესალმა დედას და შემდეგ ბავშვსაც მიეხმატკბილა თავისებურად. ბავშვმა პოეტის ალერსი იუცხოვა. სამაგიეროდ, დედამ ბავშვის ხელი აიღო, აკაკის გაუწოდა და თან ბავშვს უთხრა:

— მიეცი ხელი, შვილო, მიეცი, ეგ მწერალია, იქნება, შენზედაც გადმოვიდეს რამეო.

— გვიანღაა! — უპასუხა აკაკიმ და ბავშვს ხელი ჩამოართვა.

### სხვა-და-სხვა ამბავი

შავი ჭირი (ჟამი). *) როდესაც მეცნიერებმა მიკროორგანიზმის არსებობა გამოიკვლიეს, მათ შორის დიდი უთანხმოება დაიბადა. ზოგი მათგანი ამტკიცებდა, რომ ეს პაწაწკინტელა არსებანი გადამდები არ არიანო, ზოგნი კი იმ აზრს ადგნენ, რომელიც დღეს უკვე დამტკიცებულად ნაცნობია, რომ მიკროორგანიზმი გადამდები სენია, როგორც დიდი ხნის მეცადინეობამ აღმოაჩინა, რომ გადამდებიც არის და ზოგიერთა სანიტარულს მდგომარეობასაც დიდი ზედ-გავლენა აქვს. მიკროორგანიზმების გავრცელება არ არის დამოკიდებული ჰაერის თვისებაზედ. თითქმის ყველა შემთხვევაში ზამთარი იქნება თუ ზაფხული ერთგვარად მრავლდებიან და აზიანებენ ადამიანს, რომ ყველა წელიწადის დროს ერთგვარად ვრცელდება შავი ჭირი, ამას გვიმტკიცებს სტატისტიკური ცნობები, ევროპაში სულ 87 წელი მძვინვარებდა შავი ჭირი. აქედგან ზამთარში 17 წ. იყო, 22—შემოდგომით, 22—გაზაფხულით და 26 ზაფხულით. როგორც ამ ცნობებიდგან ვხედავთ ეს სენი ხან საშინელს სიცივეებში და ყინვებში იყო და ზოგჯერ ზაფხულის დროს, როდესაც წვიმა კოკის პირულათ ასხამდა. როდესაც საშინელი ყინვები იყო ბომბეის ქალაქში, სწორედ მაშინ გაქლიტა აუარებელი ხალხი.

საერთოთ შავ ჭირს თავდაპირველად უსუფთაობა და ადგილის უნაყოფობა აჩენს. ამის მაგალითს გვიჩვენებს ჩინეთი და ინდოეთი, რომლებსაც დასაბამითვე აქამდე აღარა შორდება, რადგანაც როგორც უკვე ცნობილია, ეს ხალხი მეტად უსუფთაოდ ინახავენ ქალაქებსაც და სახლშიაც მეტად ბინძურად სცხოვრობენ, უსუფთაობა უპირველესი აკვანია შავი ჭირისთვის, უსუფთაობაში მიკროორგანიზმი პოულობს ისეთს სამკვიდროს, რომელშიაც ერთი წყვილი, ერთს წუთში ხუთ ექვს მილიონს აჩენს. მაშასადამე ამ გვარ სნეულებასთან, რომელიც მაგრე უცებ მრავლდება, არც ხუმრობა შეიძლება და ყოველი ჩვენგანი მოვალენი ვართ დავიცვათ ყველა ის პირობანი, რომელნიც მიკროორგანიზმს სასიკვდილოდ ებრძოლებიან. ეს საშუალებანი მეცნიერთ უკვე გამოიკვლიეს და დავასახელებთ კიდეც. თუმცა შეიძლება სულ არ ამოიფხვრას ეს სენი, მაგრამ მაინც შეუმსუბუქებს კაცობრიობას ამ გვარ ხშირს სიკვდილს, რომელიც არსებობდა წარსულში და აწმყოშიაც მძვინვარებს. შავი ჭირის მოქმედებითი ხანა ავადმყოფის სხეულში შეხვედრიდგანვე, სულ ცხრა დღე და ღამე სტანჯავს. ამ ხანში ავადმყოფი ან უნდა მოკვდეს და თუ გადასცდა, მერე სრულიად თავისუფლდება ამ სენისაგან. ზოგჯერ ისე ხდება, რომ რამწამს ადამიანი ავად ხდება, სულ რამოდენიმე საათს ვერ უძლებს. ეს დამოკიდებულია უპირველესად ადამიან[illegible]
ჯან მრთელობაზედ და მეორ[illegible]
მიკროორგანიზმების როდენობ[illegible]
თუ პირველს შემთხვევაში [illegible]
ნის სხეულს რამდენი მი[illegible]
იგი ბევრი თუ ცოტა. თ[illegible]
რია, მაშინ ბევრი ერთი [illegible]
მრავლდება და უცებ სპობ[illegible]
მიანის სიცოცხლეს და თუ [illegible]
რეა, მაშინ ვიდრე გავრცელდ[illegible]
ბოდნენ და დასძლევდნენ ადამიანს,—იგი ებრძოლება სნეულებას.

ივ. კავთელი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ცნ. ფურც." № 687.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ნოემბერი

**პარიზი.** პიკარმა მიმართა საკასაციო პალატას თხოვნით—დაადგინეთ, რომელ სასამართლოს ექვემდებარება ჩემი საქმის გარჩევაო; ამასთანავე იგი უთითებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რამდენიმე მუხლებზედ, განსაკუთრებით 527 და 586-ზედ.

**ნიუიორკი.** „New Iork Herald" იუწყება, რომ მაკ-კინლეის ეპისტოლეში გარკვევით არ იქნება მოხსენებული, თუ რა პოლიტიკაა საჭირო ფილიპინებისა, პორტორიკოსა და კუბის შესახებ. ეპისტოლეთი მოითხოვს ჯარის გამრავლებას 100,000 კაცამდე, საჭირო ფულების გადადებას ფლოტის გასაძლიერებლად. მაკ-კინლეი შემდეგ მოიხსენიებს, რომ საჭირო არის რამდენიმე ხნით სამხედრო გარდასახადი კიდევ დარჩესო. სადამოჟნო კანონების ცვლილებაზედ დიდი ყურადღება არ იქნება მიქცეული. დასასრულ პრეზიდენტი წინადადებას მისცემს კონგრესს ნიკარაგუანის არხი იქმნას გაყვანილი ამერიკის ფულებითო.

**პარიზი.** პიკარის თხოვნის გამო იმის შესახებ, თუ რომელმა სასამართლომ უნდა გაასამართლოს იგი დეპუტატი ფურნეი არ შეეკითხება მთავრობას, სანამ საკასაციო პალატა განაჩენს არ დაადგენს. სენატორმა ფაბრმაც უკანვე წაიღო თავისი შეკითხვა.

სოციალისტთა რამდენიმე დეპუტატი წინადადებას მისცემენ პალატას იმის შესახებ, რომ მშვიდობიანობის დროს სააპელაციო საჩივრები სამხედრო სასამართლოს განაჩენზედ ყოველთვის საკასაციო პალატას წარედგინებოდესო.

**სტამბოლი.** კრიტიდგან გაგზავნილ იქმნა იქ დარჩენილი ნაწილი რუსეთის სამთო არტილერიისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Ноября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც." (ვ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია